პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 106 | კვირა. 26 ივნისი 1927 წ. | № 106

## არ ესიამოვნათ

სურ. დონის




ჩვენი მტრები: ო, როგორი ძლიერი სინათლე აქვს!? თვალებს გვჭრის და გვაბრმავებს!

# ზაჰესი
## ანკეტისებური

### პოეტი

იენისია ოცდაექვსი,
იმისია ა ეს ლექსი.

ხეზმანისებური

შენ აგაშენა ალმასკომმა ზემო-ავჭალას,—
და, ცხადი არის—ამიტომაც გქვია ზაჰესი.
არ იშურებდა შენთვის იგი ფულებს და ძალას,
გაქვს შენ სინათლე ძველზე უფრო უბრწყინვალესი.
ჩან-კაი-შივით ლექსის წერა უწინ მგუდავდა;
მე ამოვსწურე ყველა თემა ლექსისთვის ვარგი.
ვით ნავთის ლამპა, ჩემი მუზა ისე ბჟუტავდა;
ასე ვფიქრობდი:—აწი კი ვარ ზედმეტი ბარგი.
მაგრამ აგაგეს, და მომეცა იმედი დიდი:
მაშასადამე— კიდევ არის სალექსო რამე...
თავს შევუძახე: —კვლავ ლექსები სწერე და მიდი:
ნუ გეშინია: არ იქნება აწ ბნელი ღამე
დასწერე რაღა, და მიიღე შიგ ჰონორარი;
იმ ჰონორარით ელექტრონი შენც გაიყვანე
აწი ვარდია,— უწინ იყო სიცოცხლე ნარი...
ანახვე მუშა, რომ გესტუმროს მამა ივანე.

### სტუდენტი

დღეს მეც ზეიმს ვუერთდები, წიგნებს ვისვრი ჭერში მაღლა,
ჭერში, სადაც ელექტრონის არ ჰკიდია ლამპა ახლა,—
მაგრამ, როცა დავასრულებ და გავხდები მე სწავლული,—
სამსახურში მიმიღებენ და.... მექნება ალბად ფული, —
და როგორც კი შევიკერავ ფეხსაცმელს და ტანსაცმელსა,
და როგორც კი გამოვაძღებ დიდიხნით მშიერს ამ მუცელსა,—
და როგორც კი ცოლს შევირთავ, (საცოლოდ მყავს უკვე
და როგორც კი ცოლს შევირთავ, ((ს(აცოლოდ მყავს უკვე თინა),
და როგორც კი სახლში მშობლებს გავუგზავნი მიუდმივ სარჩოს,—
და როგორც კი ვალს გადვიხდი, რომ მევალემ არ ადმახრჩოს,—
და როგორ კი... ერთი სიტყვით სამშვიდობოს გავალ ფონსა,—
იმ წუთშივე გამოვიყვან ჩვენს ზაჰესის ელექტრონსა...
მანამდი კი,—არა უშავს,—ყველა ქუჩა ნათელია,
და რომ სახლშიც არ დავხარჯო ქართოფილის სანთელია,
შიგ ქუჩაში ბოძების ქვეშ, სადც ანთია ელექტრონი,—
იქ ვიკითხავ წიგნს—ლექციებს.... არ დამიშლის არვინ მგონი.

### მოქალაქე

ყველა მღერის და იცინის, უხარიათ დღესო:
რა გველირსა ბნელში მყოფებს, რა გველირსა ესო.
მაგრამ ჩვენ კი—გარე-უბნელთ უფრო გვახარებსო —
ელექტრონი გვიჩირაღდნებს ქუჩებს და კარებსო.
იმტვრეოდა უთავბოლოთ, ო, რამდენი ცხვირი.
ზოგმა ფეხიც მოიტეხა, კვნესდა ანატირი.
როცა ღამით სარდაფიდან წავიდოდით შინა,—
ვერ ვამჩნევდით ბნელ ქუჩებში,—ბოძი იდგა წინა:
მივამტვრევდით შუბლს და თავსა, ვანთხევდით იქ სისხლსა;
გამვლელი რომ გაიარდა, გვთავაზობდა წიხლსა.
ოღრო-ჩოღრო ადგილებში, სადაც ნაგავს ვისვრით,—
ღამით სახლში მიმავალნი ვვარდებოდით კისრით....
მაგრამ დღეს კი ელექტრონით ისე ბრწყინავს არე,
რომ სრცხვილით მაღლა ცაში ველარ ჩნდება მთვარე.
სახლში ღამით გვიან მისვლის არ გვაწუხებს დარდი;
სარდაფში თავს დაგვტრიალებს მიკიტანი მარდი..
კარგად ვიცით: ელექტრონით ისე ბრწყინავს არე,
რომ სირცხვილით მაღლა ცაში ველარ ჩნდება მთვარე.

### მენავთე

თქვენ იცინით, მაგრამ ჩვენ?!? ჩვენ კი გული გვიკვდება.
დღეში ასჯერ ჩამოვლა უშედეგოთ გვიხდება.
ეზოში თუ ქუჩაში მთელ თვეობით და კვირით
„ნავთი... ნავთი... კერასინ"—მივდივარ და თან ვყვირით.
დაგვიგრძელდა ხელები ბიტონების ტარებით,
ფეხს ქვეშ ტყავი გამოგვძრა,—მთელ დღე ვიარებით.
ო, ნეტა, ვის შეშურდა ჩვენი ულკმა პურია?
ჩვენი უბედურება, ო, ნეტა ვის სწყურია?
რად აგეს ზაჰესი? რად მოგვისპეს სარჩოა?
აწი რითი შევჭამო ერთი კერძი ხარჩოა?
რაც ზაჰესი აგეს, მერმე უფრო წავხდია!
ვის-ღა უნდა ან ჩემი კერასინი, ნავთია?!
ზაჰესს სახლში გაიყვანს—ნავთი აღარ სჭირია!
კერასინმა და ნავთმა აწ მოგვჭამეს ჭირია,—
ამიტომაც ზაჰესი არ მიხარის, ვსტირია,—
და დღეს მე თქვენს ზეიმზე ჩამოვუშვი ცხვირია.



## ხულიგანი

ემ ჩემანალებს დახედეთ ერთი!
ოი, მაგათი... არ იყოს რაღა!
საუზმეთ ვჭამე მაგათი ღმერთი...
ვცხოვრობდი, როგორც ძველ დროის აღა.

დღით ან მეძინა სადმე ჩრდილოში
(სულერთი იყო: ბაღს და ქუჩაში),
ან ვქეიფობდი სასადილოში,—
ისმოდა: ზურნა, სიმღერა, ტაში.

როგორც კი ღამე ჩამოწვებოდა,—
მე „სანადიროთ“ ვემზადებოდი,
და რომ ძილისთვის ხალხი წვებოდა,—
მე წასასვლელად მაშინ ვდგებოდი.

წინდაწინ მქონდა მე დაზვერულ
გასაქურდავი ამ ღამით ბინა,
და გავქურდავდი შემოპარული,
როცა ოთახში ყველას ეძინა.

სიცოცხლე იყო ისეთი ზორმა—
თვით მურაბაზე უფრო უტკბესი.
არ გამიშვია უკოცნოთ ქორფა
მინამ არ იყო იგი ზაჰესი.

ეხლა? უხ! მაგრამ რაც უნდა ვუხტე
წელს ზევით მაინც ვერ ავუხტები...
აწი ქუჩაში როგორ დავუხდე!?
და სინათლეში ვერც დავუხდები!

სურათი **დონის.**



## შეყვარებულნი

სულელს და ბრიყვს მიხაროდა ამ ქუჩების განათება,
და ვამბობდი:—ო, ზაჰესი ნეტა როდის გაკეთდება.
ელექტრონის შუქს დააფრქვევს, გაანათებს ბნელ-ყრუ ქუჩებს.
სინათლე კი ფრთებს შეუკვეცს ხულიგნებს და ყველა ურჩებს.
უდარდელათ და თამამად წავალ-მოვალ პაემანზე.
დაზვერვა არ დამჭირდება იქით-აქეთ და გან-განზე.
თუ მტერს უნდა მოგკლას ღამით, გადააგდოს შენი ლეში,—
ის ამ ბოროტ-მოქმედებას ვერ გაბედავს სინათლეში.
გზას გაიკვლევ, თუ გინდ იყო კაცი სადმე დაბნეული...
ერთი სიტყვით: ზაჰესით ვარ „დასტრახული“-დაზღვეული.
დიახ, ასე ჩვენ გვეგონა... მაგრამ თურმე რა ყოფილა.
ამ ზაჰესიის განათება გვიხაროდა თურმე ტყუილად,
ეს ქალაქი ბნელი ღამით ნათელია, როგორც დღისით.
სინათლეზე, აბა თქვენ სთქვით, ქალს აკოცებ რა სინდისით!?
ჩვენ მივდივართ ქუჩა-ქუჩა ხელგაყრილი და ალერსით.
გავიარეთ ბევრი ქუჩა, სახლს დავშორდით სამი ვერსით,—
მაგრამ ვერსად მივაგენით, რომ ვეძებდით ჩვენ ბნელ კუთხეს,
და ვერც ვნახეთ ვერასოდეს თუნც ვეძებოთ იგი ხუთ დღეს.
ქმარი ცოლს და ცოლი კი ქმარს სახლში სტოვებს, იპარება.
საყვარელთან. პაემანზე ყველა მათგანს ეჩქარება...
და როს ნახავს თვის საყვარელს... და რომ მიდის მარტო ორი,—
ეშინიათ არვინ ნახოს... გული უძგერთ, ვით მატორი.

**ისელი.**

---

# მზადდება და ახლო ხანში გამოვა „ტარტაროზი“-ს სპეციალური = = საკურორტო ნომერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანკეტა ზაჰესზე

ნურავის შეეშინდება სიტყვა ანკეტის. ჩვენი ანკეტა ისეთი არ არის, რომ გამოიწვიოს ან საქმის გაჭიანურება, ან ბიუროკრატიზმი, ან ხელი შეუშალოს ფასების დაწევის კამპანიას, ან სხვა კამპანიებს.

ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი და თქვენი უმორჩილესი... ამხანაგი პირველად ესტუმრა ერთ-ერთ თბილისის ტრესტის ერთ-ერთ განყოფილების **გამგეს**.

პირველად, როგორც ეს წესია, მე არ შემიშვეს გამგესთან, რადგანაც ყოფილმა გამგემ იცის თავის ფასი და ის გამგე რაღა გამგეა, თუ მისი ნახვის მსურველს კარებთან ერთი ორი საათი არ აცდევინა.

ბოლოს, როგორც იქნა მე შევედი გამგის კაბინეტში. მან სათვალეები გაიკეთა და სათვალებ ზევიდან გადმომხედა.

— რა გნებავთ?—მკითხა.

მე განუმარტე მისვლის მიზანი და შევეკითხე თუ რა აზრის არის ზაჰესზე.

— ო. ო.!—ხაზგასმით მითხრა მან და სათვალეები გაისწორა.—ჩემი კონკრეტული აზრი ზაჰესის შესახებ ასეთია: ელექტროფ.-ცია* მექანიზაცია—ინდუსტრიალიზაცია. ხოლო ინდუსტრ.-ზაცია* სტაბილიზაცია—სწორი კალკულიაცია. რაც შეეხება სწორ კალკულიაციას, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მოანგარიშეებისათვის, რადგანაც ბუღალტერს საშუალება აქვს გაითვალისწინოს ზედნადები ხარჯები. თვით ზედნადები ხარჯების შესახებ ბევრს არ ვილაპარაკებთ, რადგანაც იგი ხელს უშლის ფასების დაკლებას. მართალია, ჩვენი ტრესტი ჯერ არ აკლებს ფასებს, მაგრამ ხუთ წლიან პერსპექტიულ გეგმით ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს ფასები დაუკლოთ 12 პროცენტით. აქედან ცხადია, რომ ელექტროფიკაცია (ზაჰესი)* ამორტიზაცია...—ივანე. მოიტა ჩვენი პერსპექტიული გეგმა,—დაუძახა მან მდივნს და მდივნის კაბინეტში შეაღო კარი.

მე უკვე კიბეზე ჩამოვრბოდი. გადავირბინე ეზო და მოვკურცხლე.

მივრბოდი და მივრბოდი. მეშინოდა გამგე არ მომწეოდა პერსპექტიული გეგმა არ გადეშალა ჩემთვის, გამოვირბინე ქუჩა და შრომის ბირჟის გვერდით შევჩერდი შევჩერდი კი არა, შემაჩერეს. ეს ჩემი შემჩერებელი გამოდგა ძველი ნაცნობი **მონტიორი**.

— რა აზრის ხარ ევგენი ზაჰესის შესახებ?

ევგენიმ გაკვირვებით შემომხედა.

— ავტომობილი ჯობია თუ ეტლი?—შემეკითხა იგი.

— რა შედარებაა, რასაკვირველია, ავტომობილი.

— ასეა ჩვენი ელსადგურები და ზაჰესიც. ამიტომ ზაჰესზე კარგი აზრის ვარ, მაგრამ ის კი არ უნდა იყოს ჩვენზე კარგი აზრის, რომ უმუშევრად დაგვტოვა რადგან ჩვენი ელსადგური თბილისში დაკეტეს...—მითხრა ევგენიმ და ბირჟაში შებრუნდა.

წამოვედი, რუსთველის პროსპექტით ამოვლე და ბორჯომინწყალის კაფეში შევედი, სადაც ბორჯომის წყალს ყიდიან.

მხოლოდ ერთი მუშტარი იყო კაფეში. ისიც კუთხეში მიკუნჭულიყო და ყლუპ-ყლუპად სვამდა წყალს. მეცნობა: ჩვენი **სილევანი** იყო. ერთ დროს მონარქისტი, მერე მენშევიკი, მერე ფედერალისტი, ნაციონალ-დემოკრატი და ახლა „უპარტიო“.

„უპარტიო“.

— სილევანს სიცოცხლე!

— ნუ მომიშალოს შენი თავი კენტერბერიის არქიეპისკოპოსმა, გწყალობდეს რომის პაპაც...—მითხრა მან, არვიცი ხუმრობით თუ სერიოზულათ.

— სხვა როგორ არის საქმე? ეს ზაჰესი კი ააშენეს და...—დავიწყე მე.

— ააშენეს! ჩვენოულობა ფული მაგაში დახარჯეს,—საყვედურით და ნიშნის მოგებით მიხრა მან.—შე კაცო, სამოც მილიონად ბაბილონის გოდოლს ავაშენებ.

— გოდოლი კი არა, ზაჰესი ალორძინების თავდებია,—შევბედე სიტყვა.

— კაი თუ გიყვარდე! რა ყრია მაგ ზაჰესში. მაგის გამო ჩვენი მრეწველობა უკან დაიხევს.

— პირველად მესმის!

— აგერ მოგახსენებ: ტყიბულის ქვა-ნახშირის მრეწველობა მაგით დაეცემა, რადგანაც, თუ დამოუკიდებლობის დროს ორთქლმავალები ქვა-ნახშირით დაგვყავდა, ახლა ელექტრონით იქნება. ასეა მაზუტიც, არც მაზუტი აღარ სჭირია ელექტრონს და ამდენი მაზუტი ტყვილაუბრალოდ უნდა გადავასხათ ზღვაში. ნავთი ხომ სულ აღარაა საჭირო: განათება ელექტრონით იქნება, ასე რომ გურიის და შირაქის ნავთიც გადასაღვრელია, თუ რამე დარჩა ამ რაიონებში. რა ვიცი, კიდევ რამდენ უბედურობას მოგვიტანს მაგ ზაჰესი!—ამოიოხრა სილევანმა, და დაუმატა:—თუ კაცი ხარ. ამ ბორჯომის წყლის ფასი შენ გადიხადე, შვიდ მანეთიანი მაქვს და არ დამიხურდავებენ.

გადავიხადე და წამოვედი. ნაცნობ **ვაჭართან** შევედი.

—მომეცი ერთი კილო შინდი,—მოვითხოვე მე, რადგანაც ვიცოდი, რომ ამ დროს შინდი მთელ ტფილისში არ იშოვება.

— რა დროს შინდია, ჯერ არ შემოსულა,—მიპასუხა ვაჭარმა.

— ელექტრონი გამოგიყვანია, ალბათ ზაჰესი იქნება.

— ზაჰესია კი!

— გვეშველა, როგორც იქნა ზაჰესი, მადლობა ღმერთს...

— გვეშველა, მარა ჩვენ—ვაჭრებს ტყავი გაგვძრა მაგის აშენებაზე.

— როგორ?

— როგორ და ამოდენა ნალოგებს რომ გვაწერდენ, ეს ფული მაგ ვერანა ზაჰესის აგებაზე მიდიოდა. აწი მგონია მოგვიკლებენ.

— როგორ გეკადრება, ზაჰესის ფული ნახევარზე მეტი ვალია.

— დავიღუპე და ის არის. მაშ ნალოგებს მოგვიმატებენ!?

— დაიკვნესა მედუქნემ.

წამოვედი. გზაზე **ზახარ ზახარიჩი** შემეფეთა. ზახარ ზახარიჩს სამიკიტნო აქვს ზაჰესის ქვევით, მცხეთის ახლოს. მას იცნობს დიდი და პატარა, უბრალო და სპეცი, ერი და ბერი. იგი რაღაცეების საყიდლათ ჩამოსულიყო ტფილისში.

— გაუმარჯოს ზახარ ზახარიჩს,—ერთი შენი აზრი მითხარი ზაჰესის შესახებ. მოგწონს თუ არა?

— ვაჰ! მამწონს რომელია! ჩვენი მთავრობის სიყმეს ვენაცვალე რომ ასეთი კუკლა სტანცია გაგვიკეთა. ერთი ყარაჩოღული ლიხტრიცკის ლამფა ჩემს დუქანშიც უნდა ჩამოვკიდო, რომ მუშტარმა აშიპკაში არ ჩავარდეს და სტაქანი არ გადამიყლაპოს. თორემ ამდენხნს ღამე მოსული მუშტარი ლუკმას ყურში იდებდა ისეთი ტიომნი სიბნელე იყო ჩემ სამიკიტნოში. ნახვამდის გენცვა, ხვალ ზაჰესის ატკრიტიაა, პრაიზია მჭირდება,—მომიბოდიშა ზახარიჩმა და გასწია.

წამოვედი. მიყრუებულ ქუჩის კუთხეში ორ **ხულიგანს** წავაწყდი.

— რა აზრის ხართ თქვენ ზაჰესის შესახებ?

— აი, ამ აზრის,—მითხრა ერთმა და მუშტი მომიღირა.—მაგის გამო ისეა განათებული ყოველი ქუჩა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიოსან ხულიგანს აღარ გაევლება. თითის გაქნევას არ დაგანებებენ, ყველაფერი ნათლად სჩანს... ძველად, მახსოვს, ჩააფარებდი კაცს თავში და იქვე ბნელ კუთხეში მა იმალებოდი...

— მოვშორდი მათ, შევხდი მილიციელს.

—თქვენი აზრი ზაჰესზე?

— ზაჰესს რაღა სჯობია, მით უმეტეს ჩვენთვის!, მაგრამ მაგის ჯავრით ხულიგნები ჩვენ აღარ გვასვენებენ. მაგათ გონიათ, რომ ზაჰესი ჩვენ, მილიციელებმა ავაშენეთ ხულიგნების გულის მოსაკლავად.

წამოვედი და **რეპორტიორს** გადავეყარე.

— შენი აზრი ზაჰესის შესახებ?—შევეკითხე მე.

— ინტერვიუს მე სხვას ვართმევ, შენ ჩემგან მიგაქვს? —შემეკითხა იგი.—ისე, უნდა გითხრა, ზაჰესი კარგი გამოგონებაა. მარტო ის რათ ღირს, რომ რედაქციაში სინათლეა და კაცს წერა შეგიძლია.

— რამდენი გააკეთე ზაჰესზე?

— ოო! ეს სხვა საკითხია: ზაჰესის შესახებ დაწერილი მაქვს 1225 ქრონიკა, 270 ინტერვიუ, 240 კრების ანგარიში, 157 შთაბეჭდილება და 475 შეცდომის გასწორება. მთელ ამ მოქმედებაში მივიღე 300—400 მანეთი, რაც საკმაო თანხას წარმოადგენს ამ ფასების დაკლების დროს.

— მაშ ძალიან არც გაგიხარდება ზაჰესის დამთავრება, რადგანაც გონორარი მოგაკლდება!

რეპორტიორმა ჩაიცინა.—ჩვენ კარგად ვიყოთ და საწერის მეტი რა გვქავს; ეს რიონგესიო, ეს ქაღალდის ქარხანა, ეს მაუდის, ეს ცემენტის, ეს ნავთის წყაროები და რა ვიცი რამდენი. ყოველ დღე ახალი წარმოება იწყება... ასე, რომ საწერი ბევრია, თუ ადგილი დარჩა გაზეთში... აბა, ნახვამდის, მეჩქარება,—მითხრა მან და ვიღაცას ამოუდგა „საინტერვიუდ".

**ალლარ-ალლარხან.**

# ზაჰესი და საქო

— იცი გეოჯან რას გებნები? ერთი ჩეთვერ საათით ყური დამიგდე, ზაგესის რამეები უნდა გითხრა, ჩემი ნაბლუდენიები და ფეჩატლენიები გიამბო, ჰამაც ერთი პაზდრავლენიის ქაღალდი ერთათ დავწეროთ, დღეს ზაგესის პრაზნიკია...

ჰუზურში მე ერთი დიდი აშიპკა მაქვს: რაც უნდა გავიგონო, არა მჯერა სანამ ჩემი თვალებით არა ვნახო. ამისგნით ბევრი ნედარაზუმენიაც მამსვლია, . ზარალიც და უსიამოვნობაც მინახია მააშ!

ასე იყო ზაგესიც: როცა რომ პირველათ ზაკლატკა ჩაუგდეს, ბალშევიკურათ აკურთხეს და გაზეთებში დასწერეს თუო: დიდ სტრაიტელსტვას ვაშენებთო, ლიხტრიფიკაციას ვაკეთებთო, სიბნელესა და ჩამორჩენილობასა ვსპობთო, სლოვომ წინ და უკან ლიხტრიჩესკი ლამფუჭკები უნდა გავიკეთეთო რაღა ძაან უნდა გავანათოთო.

მე არა მჯეროდა, ვიძახდი:—იშკილია, ტყუილი ტრევოგაა, მტკვარში რომელი სუხრახანის მაზუთია, რომ იმისგნით შუქი გამოჰხადონ? ალბათ ნალოგების გადიდება უნდათ და იმისთვის თითილბაზობენ მეთქი.

ბემურაზი ფარსადანი მებნება თუო—საქოჯან. აქ სხვა თაბაუთიაო, ლიხტრიცკი მაზუთისგნით კი არა კეთდება ბორბლების ტრიალისგნით ერთნაირი პარი ჩნდებაო და ჰუზურში ის ანათებსო. ჰამაც ეს ნაუჩნი საქმეაო: მტკვარში ერთნაირი სასტავაა, თეთრ ნახშირს ეტყვიანო—ეს თეთრი ნახშირი უსარგებლოთ იკარგებაო. ზაგესი რომ გაკეთდება, მაშინ მტკვარს დააგუბებენო, იქიდან ერთ ტრუბაში გაუშვებენ და ლიხტრიცკიც ეს იქნებაო.

ვებნები— ე ,ჰაკარაკ მიხოსი ფარსანდანჯან, ვის ატყუეფ? მაგისთანა უმნი რამეები მაჩხაანის აკადემიაში გისწავლია? შე ბემურაზო, მტკვარში ნახშირს რა უნდა?

# 1950 წელში

სურ. დონის.



**შვილიშვილი** (უჩვენებს ნავთის ლამპაზე): **ბაბუა, ეს რა არის?**

**ბაბუა: ეს არის ლამპა, რომლითაც უწინ ინათებდენ, როგორც ეხლა ზაჰესით...**

ჰამაც დაპუსტიმ შიგ ჩაყარეს კიდეც, მაგრამ ნახშირი და თეთრი? ე, ახმახ, ეგეც კინტოს ანეგდოტი ხომ არ არის, ასმა მწვანე სელიოტკა კედელზე ჰკიდიაო? მაგისთანა ბედსოლი რამეები ისევ სხვაგან გაყიდეთ. მე არ დაგიჯერეფ მეთქი... ათადან ბაბადან მტკვარი აქთ მიდის, მთელი ქვეყანა ხედავს, ლემენცის ად ანგლიჩნის ინჯილრები აქ დადიან და თუ შიგ ნახშირი და ლიხტრიცკი იყო, ნიკოლოზის დროს არ გააკეთებდნენ?

— თუო ნიკოლოზის დროს ხალხისთვის არავინ ფიქრობდაო, მენშევიცკის მთავრობასაც მაგისთანა რამეების ინჩი არ ესმოდაო. ბალშევიკები კი—არა რომ ხალხის მთავრობაა, მუშებისთვის ჩალიშობს და რაც რომ კარგი რამეა ხალხისთვის სულ იმას აკეთებსო.

ჰამა აქ სიტყვები რა საჭიროაო? მაგათ საქმით უყვართ ლაპარაკი, ტრაბახი და მოგონილი არა სჭირდებათ? რასაც იტყვიან, ახრიზამანში იმას კიდეც გააკეთებენო. ეს ზაგესიც ასეა; ზაკლატკა ჩააგდეს, წერაქვი დაარტყეს, ზნაჩიტ რომ მაგის გაკეთება ნეპრემენიაო. ორი-სამი თელეთობაც არ გავა, რომ პუპუზ: ზაგესი ბურნუთის კოლოფივით ცხვირ წინ აგეტუზებაო. იქიდან პრაჟიხტორებს გამოუშვებს და ჰუზურში თეთრი და შავიც მაშინ გამოჩნდებაო!

ეს წინათ იყო, როცა ზაგესი ახლათ დაიწყეს. იმას აქეთ ხუთი წელიწადი გასულა, ქალაქშიც ბევრ მტკვარს ჩამოუვლია, ბევრი რამე შაიცვალა, გაკეთდა, გაიზარდა, გალამაზდა: აქ ქარხანა, იქ ფაფრიკა, აქ ხალი შენობები, იქ კაპერაცია. თულუხჩების მაგივრათ ვადაპრავოდი. საბაჩი პერეულკების მაგივრათ—პრასპეხტები, ახალი გზები, კონკის ლინიები, ბაღები, სარწყავი არხები, ახალ-მოდის ტრო-ტროები სოფლისთვის მაშინები. ე-ე-ე, ვინ მოსთვლის?..

— ვაჰხ! მართალი ყოფილა რაღა, რასაც მებნებოდნენ: ბალშევიკებმა პერევაროტი უნდა უყონ ყველაფერსაო! აჰა, ესეც შენი პერევაროტი: ისეთი რამეები

ქნეს, რომ წუმი შაგენახა—სიზმარშიც ვერა ნახავდი გინდ დაიჯერე, გინდა ნუ—მაა შ!..

ჰო, სიტყვა დამავიწყდა—ზაგესზე გებნებოდი: იმ-ტოლი სწერეს. ილაპარაკეს. თხარეს, აშენეს. ამ მტკვრის ძირში მილიონები ჩაყარეს და ახრიზამანში მართლაც არ იპოვეს ის თეთრი ნახშრი?!..

ჩემ ბრუტიანი თვალებით ვნახე, ჩემი ცაცია ხელით ვიკრუჩატელი გადავაბრუნე:—წკატ და... სახლში უჟე ლიხტრიცკია... კუშატკის ქვეშ რწყილი შაძვრეს, იმასაც კი მამენტალნათ დაინახავ მაა შ!..

შენ ქუჩები თქვი პრასპექტები, პერეულკები, განაპი-რა უბნები: კრწანისიდან და ავანაანთ ხევიდან დაწყებული კოლორთაღამდე. ჩუღურეთიდან—ფეთხაინამდე, სირაჯ-ხანიდან—შავსოფლამდე, ნათლულიდან— ნახალოვკამდე, მცხეთამდე, გორამდე—ვინ მოსთვლის?—სახლის კრიშაზე რო ახვიდე —ქალაქს გახედო, გეგონება ცა—თავისი მთვარითა და მასკლავებით დაბლა ჩამოვარდნილაო: ქურდებსა და შეყვარებულ ღემნაზისტკებს ერთი ბნელი კუნჭული აღარ დარჩათ, რომ თავისი საქმეები გააკეთონ. უბიანო სუდენტებს დოირანი მოუვიდათ—სხედან ლა-მით სტოლბის ძირში და უროკებს ამზადებენ: ჰაი გიდი აბას-თუმან, აღარც ნაფთი, აღარც ფითილი, არც ფარა-ნი! ლამფები უჟე მუზეინში წაიღეს, რა არი მერე ხალხს აჩვენონ თუ:—ფლან და ფსტან დროში ასეთი კაპტილკე-ბი ენთოო, ჰამა კამუნისტებმა ზაგესი ქნეს და ამათი ვა-კანციაც დაიხურაო!

შენ ჩემი სახლი თქვი: უჟე ზაგესი გამომიყვანია, ყველა ოთახში ლამფუჩკები და ლუსტრები დამიკიდნია, სლოვომ მე და ჩემი ოსანა წინიდან და უკნიდან განათე-ბული ვართ რაღა! ვინიცობაა, ღამე კრაოტში რამე ნე-დასტატკა, ან იაღლიში მოგვიხდა, ხელათვე ვეტყვი:

— ოსან,

— ჰამე,

— ერთი იქით გადაბრუნდი და ვიკლუჩატელი მო-უშვი, თოლ განათდეს, ეს ბემურაზი, პუგიცა დამეკარგა მეთქი. ისიც გადაბრუნდება, წკატ! და ყველაფერი მამენ-ტალნათ მზათ არი მაა შ!.. ცოტა ხნის მერე მეკითხება:

— საქოჯან, კიდევ გინდა თუ ჩავაქრო და დავიძი-ნო?

— არა, აღარ მინდა, ეხლა დაიძინე მეთქი...

აი რა სიკეთე და სიამოვნება მაიტანა ზაგესმა!— მაგრამ მარტო ეს? ენა ვერ მოსთვლის, გონება ვერ გა-ზომავს —რაც რომ მაგან ქალაქს, ხალხს, სახელმწიფოს სარგებლობა უყო: ყველაფერი გააიაფა, გააადვილა, გაალამაზა, გააჩღა მა შ!..

ჩემმა მზემ, თელეთის მადლმა—რაც მართალია, მარ-თალია, ამ ბალშევიკების ხელში ბევრი ფინთი რამეები გამამიცდია, მაგათზე ბევრი ავი მითქვია და მიფიქრია, მეცა და ჩემ ჰამქარსაც, ჰამა ჰუზურში, ყველაფერს ჩოთ-ქში რომ ვაგდეფ—თურმე ყველაფერში მიმიქარნია, მტრობითა და სიბრაზისგნით მამსვლია. მაგათი ლინია სწორია. მაგათი მუშაობა ხალხის სიკეთისთვის ყოფილა. აჯარ, თუ ამ მუშაობაში ჩემისთანა ათიოდე და ასიოდე ჰარიფი დაიჩაგრა, რა უყოთ, ამისთანა დიდი, სასიკეთო საქმე ხომ მაინც კეთდება და ბოლოს ამ სიკეთის ერთი ლუკმა მეც მერგება?

აი, ასეთ ფეჩატლენიაზე დამაყენა ზაგესის გაკეთე-ბამ, იმისგნით გამოშვებულმა ლიხტრიცკის შუქმა, იმის მარიფათებმა.

დღეს ამ ზაგესის ტარჟესტვენი გახსნაა, იმისი ჰუნა-რები ბალშევიკურათ უნდა აკურთხონ და მერე მთელ ქა-ლაქში გაუშონ.

მაშ მოდი, და ლოთიანათ ერთი ჯიგრიანი პაზდრავ-ლენიის ქალალდი გაუგზავნოთ ამ ბალშევკებს და მიუ-ლოცოთ: უთხრათ— დიდი მარიფათიანი ბიჭები ყოფილ-ხართ და უფალმა უფრო მეტი შნო მოგცეთ, პირძალლო ვიყოთ თუ არ გვიხაროდეს თქვენი მაგისთანა ჩირთი ფირთები.

**ფარხადან.**

# მეტოქე

სურ. დონი'ს!



მთვარე (გაკვირვებული): ოი, რა ამბავია იმ—მიწაზე? რა მეშველება! მგონი მალე საჭირო აღარ დავრჩე!

# გარიყულნი

**დიდი ნოე:** (მარტოთ· ათვალიერებს საქართველოდან ახლად მიღებულ ლიტერატურას)·—ეს გვარები ჩემთვის ყველა უცნობია. ამათში ერთიც არ არის ძველი მუშა. (შემოდის პატარა ნოე. მის დანახვაზე დიდი ნოე უსიამოვნოთ მოხრის წარბებს და თავისთვის ამბობს): მოვიდა ეშმაკის სული.

**პატარა ნოე:** ჰაა, ფოსტა მოსულა.

**დიდი ნოე:** ამ გვარების ვერაფერი ვერ გავიგე. ვინ არიან ესენი?

**პატ. ნოე:** ესენი ჩვენი პარტიის წევრები არიან ალბად· ახალგზრდებია 17—18 წლ., როცა ჩვენ გამოგვრეკეს, ესენი მაშინ 11—12 წლის იქნებოდენ.

**დიდი ნოე:** კი მაგრამ, ეს ორმოცი წლის კაცებიც ახალგაზრდებია? (აჩვენებს მეორე სიას).

**პატ. ნოე:** ესენი არიან ვაჭრები, რომლებიც ჩვენი პარტიის წევრებია; ჩვენი და ჩვენი პარტიის ბედი დღეს ამათზეა დამოკიდებული.

**დიდი ნოე:** „რაც მოგივა თავითაო, ყველა შენი თავითაო“—ალბად ჩვენზე უთქვამს წინასწარ ქართველ ხალხს ეს ბრძნული თქმულება. (გულმოსული გადის).

**პატარა ნოე:** ტერპი კაზაკ, ატამანომ ბუდეშ—მარა ეს რუსულია·.. ლუჩშე პოზდნო, ჩემ ნიკოგდა... ოხ, ესეც რუსულია. „ჯერ მწარე სჭამე კვლავ ტკბილი თუ ეძებ ეგმოვნებასა“.

„ის იცინის, ვინც ბოლოს იცინის“. (შემოდიან: გიორგი ერაძე, კოწა კანდელაკი, ნიკო ჭუმბურიძე და სხვები).

**გიორგი:** აი, საქართველოს ავი სულიც აქ ყოფილა·

**პატარა ნოე:** (ყველას მიესალმება): გიორგი, ნუ იცი შენ ჩემი გალიზიანება, თორემ მომავალ სამინისტროს წევრად აღარ შეგიყვან.

**გიორგი:** მგონია ისედაც აღარ მომიწიოს მინისტრობა. ბოლშევიკები საქართველოში სურსათს აღარ დაგიტოვებენ და რაღა სურსათის მინისტრი უნდა ვიქნე. სხვას რას იტყვი ახალს? შენ ალბად ცხელ-ცხელი ჭორები გეცოდინება!

**პატარა ნოე:** მე ეს ვიცი, ჩემო, რომ კომუნისტების ალსასრული დამდგარა.

**ნიკო:** (გააწყვეტინებს): მაგ სიზმრებმა თავი მოგვაწყინეს; შენ რეალური თქვი, რამე რეალური!

**პატარა ნოე:** თუ არ გჯერა, აკაკი ჩხენკელი მოვა და ის გეტყვის (შემოდის სპ. კედია, სამსონ ფირცხალავა, და ი. გობეჩია).

**გიორგი:** აი, სამება მოვიდა. (ერთმანეთს ხელს ართმევენ).

**გობეჩია:** აბა, ახალი თუ იცით რამე, ახალი?

**გიორგი:** ახალი აკაკის სცოდნია და კიდევაც მოდის (შემოდის მარტო აკაკი).

**ყველა:** აბა, აკაკი, შენ შემოგცქერით საქართველოს ერის ნაღები.

**აკაკი:** ვინაიდან ნოე ჟორდანია ულონოდ არის და არ შეუძლია ჩვენს სხდომას დაესწროს, ამიტომ გთხოვთ კრების თავმჯდომარე დაასახელოთ.

**ხმები:** პატარა ნოე... სპირდონი..· სამსონი.::: აკაკი;:: ლეო კერესელიძე:::::

**პატარა ნოე:** ვინაიდან საკითხი ფრიად სერიოზულია, ამიტომ მე ვასახელებ ჩემს თავს თავმჯდომარეთ და ერთი ხმით ვარჩევ კიდევაც. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ აკაკის (ყველა უკმაყოფილოა, მაგრამ ხმას ვერ იღებენ).

**აკაკი:** ამხანაგებო, ვინაიდან დღევანდელ კრებას ოპოზიციონერი გ. ერაძე და ნიკო ჭუმბურიძე ესწრებიან, ამიტომ ყველაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ საქმე ძალიან კარგათაა, რაც იქიდან სჩანს, რომ პოლონეთი მოითხოვს მომავალი ჩვენი მთავრობის შემადგენლობის სიას.

**ფირცხალავა:** კარგი ამბავია. (თავისთვის: იქნებ ეხლა მაინც მოვხვდე მთავრობა'ში ს

**კედია:** ბატონებო, მე არ შემიძლია ალფრთოვანება არ გამოვსთქვა ამ ამბავის გამო და საქართველოს მთელი მსხვილი და წვრილი ვაჭრების სახელით, არ განვაცხადო, რომ მართალია: ჩვენ მენშევიკებთან გავერთიანდით, მაგრამ დღემდე მათ მუშაობას მაინც ეჭვის თვალით ვუცქერდით; დღეის შემდეგ კი საქართველოს ვაჭრები და თავად-აზნაურობა სამღვდელოებით ყოველთვის თქვენთან იქნებიან.

**გიორგი:** (თავისთვის): სპირდონსაც მინისტრობის საღერღელი აშლია!

**გობეჩია:** დღეიდან საქართველოში ველარ გაიჭაჭანებს სიტყვა ესერი და ჩემი მეთაურობით ყველა თქვენთან იქნება.

**ნიკო** (თავისთვის): აი, ესეც ემზადება სამინისტროთ!

**პატარა ნოე:** ამაგვარად, ამახანაგებო, ჩვენ ეხლა უნდა დავასახელოთ მინისტრები და, რაც მთავარია, მთავრობის თავმჯდომარე. ამ უკანასკნელობას (ისე კი—პირველობას), ესე იგი მთავრობის თავმჯდომარეობას მე ვიკისრებ; სხვა გზა არ არის, და თანახმაც ვარ; მე მგონია რომ ჩემს წინააღმდეგ არავის საწინააღმდეგო არ ექნება.

**ლეო კერესელიძე:** თუ-თარ გიორგის და მუსოლინს გეფიცები, რომ წინააღმდეგი ვიქნებოდი, მაგრამ შენ სინამდვილეში ფაშისტი ხარ და ამიტომაც მხარს გიჭერ·

**პატარა ნოე:** ერთი სიტყვით, ერთხმად არჩეული ვარ მთავრობის თავმჯდომარეთ. ეხლა ავირჩიოთ მინისტრები, და ავირჩიოთ მინისტრებათ შემდეგი ამხანაგები: ჩხენკელი, კედია, პავლე ბერი, რაფიელ ინგილო, ლეო კერესელიძე, ფაჩულია და სხვა არავინ; ესენიც კმარა.

**ხმები:** კარგია, კარგია. (ამას ჰყვირიან ახლად არჩეული მინისტრები).

**ხმები:** დაიკარგეთ აქედან. თვითონ ჩამოირიგეს მინისტრობა და ჩვენ კი არაფერი გვხვდა! განა თქვენზე ნაკლები სამინისტრო ბიჭები ვართ?!

**ჭუმბურიძე** (ერაძეს): ა, ბიჭო, საგიჟეთში გასაგზავნი ხალხი!

**ერაძე:** ვინ არის პატრონი, თორემ კი.

**შ. გორისელი.**

# მ ც ო დ ნ ე

ჯურ. მარიაშის



დედა: მე შენ გაჩვენებ—მურაბის ჭამას როგორ უნდა!
ბავში: არა, დედილო,—მე უკვე ვიცი სადაცა გაქვს დამალული მურაბა.

# დათვალიერება

**წერილი ბათომიდან**

ჩემი ახირებული ჩვეულება არა მარტო ჩემს ცოლს ეჯავრება, არამედ მეც საშინლად მძულს, მაგრამ რას ვიზამ; „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო"—ამბობენ და რახან ასეა, რაღა მეთქმის, რამოდენიმე ხანი ისე გავა, რომ ჩემი ჭაჭანი არსად ისმის; წერილს არ ვწერ ამხანაგს. 1 ნაბიჯს არსად არ გადავსდგამ. თეატრი რომ თეატრია, იმაშიც არ დავდივარ.... მაგრამ ხანდისხან, რომ ავჯინჯილდები ღვდლის ჯორივით,— მანამდე ვერ მოვისვენებ, სანამ ყველა ნაცნობებს წერილებს არ დაუგზავნი; სანამ ყველა სარედაქციო კალათებს არ ამოვავსებ შენიშვნებით; სანამ ყველა დაწესებულებებს არ ჩამოვიარ და ყველაფერს არ გავეცნობი.

მთელი ზამთრის განმავლობაში, კუსავით ვიყავი მოკუნჩხული ერთ ადგილას,—არც ვწერდი, არც ვკითხულობდი, არც სადმე დავდიოდი და, წარმოიდგინეთ; არც ვლაპარაკობდი თითქმის.

ცა და ქვეყანა დამემდურა: — რაა ბიჭო რომ არ დადიხარ ჩვენსაო. რედაქციებიც საყვედურს მწერდენ: „რად არ გვაწვდი წერილებსო". ერთი სიტყვით: ყველა ნაღვლობდა ჩემს სიჩუმეს, გარდა სარედაქციო კალათის გამტანისა, რომელსაც კალათი უფრო მსუბუქათ გაჰქონდა უწინდელთან შედარებით.

დადგა ზაფხული. პირველ ყოვლისა ჩემი ამხანაგების ნახვა მოვინდომე.

შრომის კომისარიატში ბევრი ნაცნობები მყავს და ამიტომ იქ უწინ წაველი. ძლივს შევძვერი შრომის კომისრის კაბინეტში (თუ კი ამას კაბინეტი ჰქვია.) ათამდე უმუშევრები თავზე ადგა შრომის კომისარს: ვინ რას ეუბნებოდა, ვინ რას. არც კარებზე წარწერა: **„შეუკითხავათ ნუ შემოხვალთ"**, არც **„ხელის ჩამორთმევა საჭირო არაა"**, არც **„თამბაქოს ნუ მოსწევთ"** და არც სხვა ამ გვარი წარწერები იქ არ იყო. ან რა საჭიროა. შესვლის ნება ვინ უნდა ითხოვოს, როცა ყველა ერთად შედის. ხელის ჩამოსართმევად ვის მოუშვებენ ისე ჰყავთ შემოსეული გარშემო, პაპიროსის მოწევაც, თავის თავად ცხადია არ შეიძლება აუკრძალო ვისმეს ასეთ დროს და, სწორედ მეც ზედმეტად ვცანი წარწერების არსებობაც. იქიდგან ისე წამოველი, რომ ერთი ნაცნობი არ მინახავს სალაპარაკოთ.

ქალაქის აღმასკომში საქმე არაფერი მქონდა, მაგრამ ვიფიქრე: იქნებ ვინმე ბიუროკრატს წავაწყდე, მასალა ვიშოვო მეთქი და შევიარე, აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში გვერდის კარებიდან შევძვერი. დავაკვირდი სეროგოს, იქნებ რამე ბიუროკრატობის შევამჩნიო მეთქი, მაგრამ თითქოს განგებას ისე უშნო გაუჩენია, რომ მასში ერთი წვეთი ბიუროკრატიზმის ვერ აღმოვაჩინე.

— ღმერთს მაგი მუშათ გაუჩენია და რაფერ გინდა მასში ცივილიზაციური ბიუროკრატიზმი ჩანერგო, გავიფიქრე და ნაწყენი წამოველი.

შემდეგი დათვალიერება პროფესიონალურ კავშირზე მოვახდინე.

ისე შედიოდენ მუშები შიგ, თითქო თავის ოჯახში შედიანო, აქაც ვერაფერს გავხდი და უფრო გულმოკლული წამოველი.

— არაფერი გამოვა მაგათგან — ვიფიქრე და ერთ „სპეცის", ჩემი ძველი ამხანაგის სანახავად შევუხვიე. ხუთი ექვსი კარები გავიარე: ყველას კარებზე რუსულ-ქართული წარწერა იყო აკრული: **„უსაქმოდ ნუ შემოხვალთ"-ო.** — აი საქმის ხალხი.—გავიფიქრე მე და ერთი კაბინეტის კარი შევაღე. რბილი სავარძლები იდგა მარტო, მაგიდა ტრაპეზივით იყო მოწყობილი, ხოლო იქ არავინ იყო. მეორე კაბინეტში „სპეცი" გაზეთის მეოთხე გვერდს კითხულობდა. მესამე კაბინეტში მემანქანეს პუდრი და სარკე ეჭირა ხელში და პუდრს ცხვირზე ისვებდა: ხელი არავის შეუშალე და მეოთხე კაბინეტში წაველი. იქ სწორედ ჩემი მეგობარი „სპეცი" იჯდა და ადნით ფრჩხილებს იწმენდდა, გაეხარდა, თუ იწყინა ჩემი მისვლა, ეს არ ვიცი—მხოლოდ ხელი გამომიწოდა და მანიშნა დაჯდომა.

საუბარი ჯამაგირებიდან დავიწყეთ, ჩემი მეგობრის თქმით მას 160 მანეთი ეძლევა, მაგრამ გაცილებით ცუდათ სცხოვრობს, ვინემ 40 მანეთიან ჯამაგირების დროს. მე მივეცი რჩევა—ისევ 40 მანეთიან ჯამაგირზე დამდგარიყო. შემდეგ საუბარი ბიუროკრატიზმზე გადავიტანეთ. მისი თქმით იქ ბიუროკრატიზმს ადგილი არა აქვს. პასუხისმგელნი დღეში ხან ერთ საათს რჩებიან დაწესებულებაში და ხან სულადაც არ შემოდიან; ამიტომაც არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი ბიუროკრატიზმსო.

— ეს წარწერები რაღას ნიშნავს კარებზე რომ აგიკრავთ: „უსაქმოდ ნუ შემოხვალთ"-ო — შევეკითხე.

— ეს იმიტომ რომ ხშირად იციან ხოლმე უსაქმოდ შემოსვლა და აბა დაწესებულებაში უსაქმოდ შემოსვლა რა საჭიროა! — მითხრა მან.

ორი საათი ვილაპარაკეთ, ძველი და ახალი ყველაფერი მოვიგონეთ და წამოვედი. კარებზე ისევ წავიკითხე: **„უსაქმოდ ნუ შემოხვალთ"**, და მაშინ ჩავუკვირდი მის მნიშვნელობას. ბევრი ფიქრის შემდეგ. ასე მივხვდი ამ წარწერის შინაარსს: ალბად ამ ხალხს მოსწყინდა უსაქმოდ ჯდომა, უსაქმოდ შემსვლელები—და თხოულობენ ვინმემ საქმე მოუტანოს: ე. ი. მოკლედ რომ ვსთქვათ, წარწერა ამბობს: **„უსაქმონი ჩვენც ვკმარვართ, თქვენ საჭირო არა ხართ"**.

აი ნამდვილი დაწესებულება, სადაც კიდევ ყოფილა შეგნებული და განვითარებული ხალხი.—ვთქვი და სახლში წამოვედი.

ბლიკვი.

# სიყვარულის დამტკიცება

სურ. ო. შლინგი



— მამილო, თუ ჩვენი სიყვარული გაქვს, „ტარტაროზი" გამოგვიწერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ძირს ბიუროკრატიზმი“

## ცოცხალი სურათი

(სცენა წარმოადგენს საერთო კანცელარიას და საქმეთა მმართველის კაბინეტს,, სადაც გაკრულია ბიუროკრატიზმის საწინააღმდეგო მრავალი წარწერები).

**საქ. მმართ.** (საქმის მწარმოებელს): საკვირველია: შუადღის თორმეტი საათია და გამგე კი ჯერ კიდევ არა სჩანს! ავტომობილი ხომ გაუგზავნეთ?

**საქ. მწარმ.:** დილიდანვე უცდის,—მაგრამ არა მგონია, რომ მალე მოვიდეს. წუხელის „არტო“-ში იყო და გათენებამდი კარტს თამაშობდა.

**მარო (ტასიკოს):** ტასია, გენაცვალე, ცოტა პუდრი მასესხე... შენ ლორიგანი კოტე გაქვს.

**ტასიკო:** ოჰო, იამა ქალბატონს კოტე... ხომ იცი ეს პუდრი როგორი საშოვნელია კონდრაბანადათ?! (შემოდის მოქალაქე).

**სილიბისტრო:** დილა მშვიდობისა, ბატონებო... (სიჩუმე): დილა მშვიდობისა ბატონო. (ისევ სიჩუმე. შემდეგ თავისთვის): ოი, დაყრუვდით ბარემ.... (მიმართავს საქმეთა მმართველს): უკაცრავათ...

**საქმეთა მმაზთ.** რა გნებავთ?

**სილიბისტრო:** შენი დღეგრძელება... გახლავარ სოფლიდან ჩამოსული... ჩვენს სოფელს ღვანკითს ეძახიან... მშვენირი მიდამო და ჰავა არის. ისეთი რომ...

**საქმეთა მმართ.** რა გნებავთ? განცხადება გაქვთ?

**სილიბისტრო:** არა, „პრაშენია“ მაქვს და, თუ შეიძლება...

**საქ. მმართ.** თქვენ დაარღვიეთ კანცელარიის წესი. თქვენი ქაღალდი ჯერ სხვამ უნდა მიიღოს და შემდეგ მე. (გადის თავის კაბინეტში).

**სილიბისტრო:** რა გაჯავრებს, შე კაი კაცო, რომ მიმატიე და გაიქეცი. (საქმის მწარმოებელს): რაღაც ისე გატყობ, რომ გულკეთილი კაც უნდა იყო... ეს განცხადება....

**საქ. მწარმ.:** მე არ შემეხება. მიმართეთ სხვას.

**სილიბისტრო:** (ამოიოხრებს და მიმართავს თანამშრომელ ქალს): შენ გეიზარდე და ღმერთმა კარგი ბედიღბალი მოგცეს,— ეს განცხადება....

**თანამშრ. ქალი:** მე შესრულებულ ქაღალდების რეგისტრატორშა ვარ. მიმართეთ სხვას.

**სილიბისტრო:** (თავისთვის): არ შეგისრულა ღმერთმა ბრფერ სურვილი შენს სიცოცხლეში. (მიმართავს მაროს). თვალებში გეტყობათ რომ თქვენ დარბაისელი ადამიანი ხართ, და ამიტომ, ეს განცხადება...

**მარო:** მე ეს არ მეხება აი, იქით მიმართეთ.

**სილიბისტრო** (თავისთვის): რა ყოფილა აი ა? დალახვროს ღმერთმა თქვენი თავი. (მიდის მემანქანესთან): შენისთანა ქაილის მნახველი არ ვარ ჯერ.ასე ლამაზი, რომელმა დედ-მამამ გშობა?... და ეს პრაშენია...

**მემანქანე ქალი** (კაპასით): რატომ მიშლით ხელს? ხომ ხედავთ ვმუშაობ.

**სილიბისტრო:** ეს ქაღალდი...

**მემანქნე ქალი:** სადაც გნებავთ იქ წაიღეთ.

**სილიბისტრო:** თქვენთან მოვიტანე ეს ბატონო.

**მემანქანე ქალი:** ვოტ ჩელოვეკ!... მარო, ერთი პაპიროსი მომეცი, თორემ ნერვები ამეშალა. (სილიბისტროს) ხომ ხედავთ—ვბეჭდავთ?!.

**სილიბისტრო** (თავისთვის): საგიჟეთშიაც დაგილევია მთელი შენი სიცოცხლე... სამუდამოდ დაგიბეჭდონ კბუოს სახურავი.. რა ყოფილა აი?

**შიკრიკი:** როგორ გადარეულსავით ბუტბუტებ?

**სილიბისტრო:** რა გასაკვირალია, რომ აქ მოსული გადაირიოს!.. მარა, მანამ გადავირეოდე, ისე მაგრად მოგთელავ ლეიბის მატყლსავით, რომ ხორცი და ძვალი რბილათ გადაქიცეო.

**მარდახა** (შემოდის და მიმართავს საქ. მწ.): როგორ არის ჩემი „პრაშენიის“ საქმე?

**საქ. მწარ.** ჯერ არ არის განხილული.

**მარდახა:** როცა მოვიტანე, მაშინ ჩემი ცოლი ორსულად იყო ეხლა კი მას შვიდი თვის შვილი ჰყავს და თქვენ კი ამ ხნისგანმავლობაში „პრაშენია“ ვერ განიხილეთ?!

**გამგე:** (რომლის შემოსვლაზე, ყველას მოუსვენრობა ეტყობა, მოსვლისთანავე ეუბნება საქმეთა მმართველს): ქუჩაში ყური მოვკარი,—მთავრობის ხალხი იყო, —ბიუროკრატიზმს უნდა ვებრძოლოთო... გაზეთებშიაც ყოფილა თურმე ამის შესახებ კამპანიები. ეს მე ფეხსალაგში წავიკითხე, თორემ ისე დრო არა მაქვს გაზეთისათვის... ამიტომ შეუკვეთეთ დიდი პლაკატი, რომელზედაც უნდა ეწეროს: **„ძირს ბიუროკრატიზმი“.**

**საქ. მმართ.:** ეს კარგი, ხვალვე მზად იქნება... აი, ეს ქაღალდებია განსახილველი; უკვე დიდი ხანია და..

**გამგე:** სადაც ამდენი ხანი განუხილველია, ერთიორი თვე რომ კიდევ დარჩეს, არაფერი დაშავდება. ჩვენ ეხლა მაგისათვის არ გვცალია. ჩვენი საქმეა ეხლა ბიუროკრატიზმთან ბრძოლა.

**ქართლ-იმერელი.**

სურათი დონისა



ვაჟი (ქალს): ჭკვიანი ქალი ხარ, ჩემო სულიკო: ეს ქოლგა რომ არ წამოგეღო,—ამ ზაჰესის გამო ერთ კოცნასაც ვერსად მოვახერხებდით!

# ჩემმა ენამ დამღუპა

— კაცო, სამი წელია ერთად ვცხოვრვბთ, მტერი და მოყვარე გვყავს და რავა არ გრცხვენია ერთი ჩვენებისაჰ არ წამიყვანე—თავი არ ისახელე..

— ქალო, ნუ გადარეულხარ, თამაშობა ხომ არ გგონია ეხლა მგზავრობა!

— შენ ყოველთვის ასე იცი, ერთხე ლარ მინახავს, რომ შენ ჩემი დაგეჯერებიოს.—გაჯავრებით მითხრა მან და ტირილი დაიწყო. ბევრი ველაპარაკე, ბევრი ვეხვეწე გადაეთქვა წასვლა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რომ შეჯდავირზე, ფეხიც არ მოიცვალა.

მეტი გზა აღარ იყო. ბოლოს ავიღე 15 დღის შვებულება, 25 მანეთი მომავალი წლის ჯამაგირის ანგარიშში (ამ წლის შეჭმული მქონდა) და მოვემზადეთ წასასვლელად. სადგურზე კიდევ მოვაგონე ცოლს, რომ ეხლანდელი მგზავრობა სახიფათოა, მაგრამ ყურიც არ მათხოვა..

— რაღა ეხლა დევიმტვრევით! თუ დასამტვრევი ვართ და ასე გვაწერია შუბლზე, ოთახშიც ედვიმტვრევით.

ჩემი ცოლის სოფელში რომ მივედით, თითქმის ყველას სიხარული შევნიშნეთ.

— აფერუმ დათია, კი გაათხუა გოგო, მარა კიდეც მიუცია კაი კაცისთვის!—ეჩურჩულებოდენ დედაკაცები ერთმანეთს.

— ბეჩა, არ იტყვი რა თანამდებობა უჭირავს თურმე! მაგ სიმაღლე კაცი იმ ქვეყანას მეორე არაა.

— საწყალ კეკელას რა გოუხარდება ეხლა სიძის მისვლა!—ასე ლაპარაკობდენ ქალები და ჩემს ნათხოვარ პალტოსა და ქუდს ათვალიერებდენ.

სიმამრი, ცოლის ძმები, ცოლის დები, სიდედრი, ნათლია, ნათლული, მისი ძმა, მისი მომყოლები და სხვები შორიდგან შემოგვეგებენ..

სუფრა მისვლისთანავე გაიშალა, შემწვარი, მოხარშულით, მოხრაკულით, გამომცხვარით და გამომხმარით აივსო ყველაფერი. მთელმა სოფელმა შეიყარა თავი. მე და ჩემი ცოლი ერთად დაგვსვეს და კიდევ ერთხელ მაგვაგონეს ჩვენი ქორწინება. სიმღერა და ათმაში ხომ აუწერელი იყო. ჭიქები ყანწებმა შეცვალეს, ყანწები ჯამებმა და ბოლოს ქვევრზე მიადგებოდენ მგონია, რომ თამადას წელზე ზონარი არ შეწყვეტოდა და პირიდგან ნახარჯი არ ამოელაგებოდა.

მეორე დღე უფრო მხიარული იყო, დილიდანვე იწყებოდა ქეიფი და დროს ტარება ჩემი ქება მთელ სოფელს მოედო უკვე და მეც, რასაკვირველია, ვიფერებდი ამ დიდ სახელს.

— თქვენ რა თანამდებობაზე მსახურობთ ბატონო—შემეკითხა ერთ საღამოს ჩემი სიმამრის მეზობელი გლეხი რომელსაც თავისი სარჩო საბადებელი ამ ვახშმისათვის დაეხარჯა, რომ ჩვენთვის „პატივი ეცა“.

— მე გახლავართ შრომის კომისარი—მოკლედ მივუგე მე და პალტოზე დაყრილი პაპიროსის ფერფლი გადავიფერთხე.

— კაი დაგემართოს. რა მოვალეობა გაქვთ თქვენ. ბატონო?

— რაი და, მაგალითად, თვალყურის დევნება შრომის დაცვაზედ. რასკავირველია, ჩემზედაა დამოკიდებული მუშების დანიშვნა მოხსნა და ბევრი რამ ასეთები.—გავბერე რაც შემეძლო გუდა.

ვახშამი დიდებული გაიწყო თუმცა ყველაფერი თავზედ საყარად იყო, მაგრამ მასპინძელი მისი ცოლით მაინც წუწუნობდა:

— მართალია: თქვენს საკადრისად, ვერ გაგიმასპინძლდით, მარა რაც შეგვიძლია სულითა და გულით მონდომებული ვართ პატივი გცეთ.

იმ ღამეს მართლა ძლიერ მაგრად დავთვერი და ლაპარაკით შრომის კომისარის თანამდებობასაც ავცილდი თურმე. რა ვილაპარაკე არაფერი მახსოვს, მხოლოდ ეხლა კი თანდათანობით ვტყობილობ რომ ჩემს ენას დაუღუპავარ.

15 დღე ისე გავიდა, როგორც სიზმარი და წამოსვლის დროც მოაწია.. უკანასკნელ დღეს უკანასკნელად დავთვერი და სადგურისაკენ როგორ წამოვედი, არაფერი მახსოვს.

ბათომში რომ ჩამოვედი, მე და ჩემ ცოლთან ერთი 15-16 წლის ყმაწვილი ჩამოხტა, ჩვენ ბარგს ხელი მოავლო, ზურგზე მოიდვა და ჩვენ გამოგვყვა...

— ვინაა ქალო, ეს ბიჭი?—შევეკითხე ჩუმათ ცოლს.

— რავა არ იცი, შემიწვაგასახეთქო, ბესიკას რომ შეპირდი ასმანეთიან ადგილზე დაგიყენებ ბიჭსო, მაგია იგი.—ჩურჩულითვე მიპასუხა მან. ეხლა კი ვიგრძნე ჩემი უბედურება. სხვისი რჩენა კი არა, ცოლს ხანდახან სხვისას ვაგზავნიდი სადილზე.

მეორე დღეს სოფლიდან წამოღებულებს შევექეცით და მესამე დღეს კი დავიწყე სირბილი პურის ასანისიებლად.

ერთ სასადილოში, სადაც მე ეხარჯულობდი ნისიათ, მივიყვანე ჩემი სტუმარიც და სასადილოს პატრონს ვუთხარი, რომ ჩემს მაგიერ მისთვის ეძლია სადილი. მე კი ცარიელ პურს შევექცეოდი სახლში.

სასადილოს კარგად შეეჩვია ჩემი სტუმარი და „მენიუც“ გაიცნო. ერთ დღეს სასადილოს გამგემ 45 მანეთის ნახარჯი წამომიყენა..

— რა ვქნა, ბატონო, უმწვადოთ და ულვინოთ არ შიირთმევს სადილს თქვენი მოყვანილი კაცი და მე რა გიყოთ!

შევატყვე საქმე ცუდათ იყო და გადავწყვიტე მეც ერთად მასთან მევლო სასადილოში და ორი ხელის მაგივრად, თითო ხელით დამეკმაყოფილებია. ასეც მოვიქეცი სასადილოში დავჯექით, ორივემ მოვითხოვეთ შჩი, მე ნელნელა შევექცეოდი და მან კი სწრაფად ამოხვლიპა და „მენიოს“ დაუწყო თვალიერება.

— შენ რას თხოულობ მეორეს?—შემეკითხა ჩემი სტუმარი.

— მე მეორეს არასოდეს არ ვჭამ, ექიმებისაგან ვარ დათხოვნილი ხმელ საჭმელებზე. მე მხოლოდ წვენი უნდა ვთხლიპო—ვუთხარი და რომ მეორე არ მოეთხოვა, ჩემი ულუფა ხორცი მას გადაუდევი.

— საშინელი ავადმყოფობა გქონია—მითხრა მან, ჩემი ულუფა ხორცი გადაიღო და ამასობაში კატლეტის „ზაკაზიც“ მისცა...

ცხელმა კატლეტმა ისე ამიძრა მადა, რომ კბილების წაკწაკი ამივარდა ციებიან კაცივით; ჩემი სტუმარი კი მადიანად ილუკმებოდა,—მე კი ნერწყვს ზედიზედ ვყლაპავდი... „ესეც შენი კომისარი“-ვამბობდი გულში და ბრაზით ვსკდებოდი, რახან ღვინის სმაზედ მე უარი განვაცხადე და ექიმები დავასახელე მიზეზად, მან ნახევარი ბოთლი ღვინო მოითხოვა და სადარდელი სადარდელზე დამიმატა.

ადგილის შოვნაზე ის სრულიად არ იწუხებდა თავს. მე ბევრს დავწანწალებდი, მაგრამ არსაით არაფერი ჩნდა.

მე და ჩემი ცოლი ერთმანეთს ძალლივით გადავეკიდეთ, მუდამ ვჩხუბობდით. ბოლოს ერთმა მეგობარმა გვიხსნა ამ გაჭირვებიდგან.

— მოიყვანე ის ვაჟი ჩემთან, უთხარი რომ მე ვარ ქარ-

# მოსაწონი თვალები

სურ. რევაზისა



**ქალი: შენ ქალის როგორი თვალები მოგწონს?**
**ვაჟი: რომელიც ვაჟის ჯიბეში არ იცქირება!**

ხნის დირექტორი, მე შევპირდები მას ალაგს და შენ გიხსნი.

— მეც ისე მოვიქეცი. ერთ დღეს ჩემი მეგობარი ქარხნის დირექტორად გავაცანი და ადგილი ვთხოვე.

— პირველ ივნისიდან იმუშავებთ ჩემთან, ხოლო მანამდე შეგიძლიათ სოფელში დაისვენოთ. თვეში ას ოც მანეთს დაგინიშნავ.—უთხრა ჩემმა მეგობარმა ისეთი სერიოზული გამომეტყველებით, რომ ბიჭი მართლაც დაიჯერა. გზის ფული, რასაკვირველია, ვისესხე და გავისტუმრე. დროებით მოვიცილე, მაგრამ ეხლა ისევ მისი დაბრუნების შიში მივეცი. აქაც ჩემმა ამხანაგმა მიხსნა.

— დახარჯე კიდევ ერთი მანეთი—მითხრა,—მიეცი დეპეშა, რომ ქარხანა დაიწვა, დირექტორი შიგ მოჰყვა, სხვა ადგილი ამდროულად არაფერია, რომ შენ გადაყვანილი ხარ რუსეთში დიდ საქმეზე და სხ.—მე მისი რჩევა ჭკუაში მომივიდა მართლაც დაუმატე ვალს ვალი და ზემო აღნიშნული შინაარსის დეპეშა გავგზავნე. ჯერჯერობით არაფერი სჩანს, შეიძლება ამ წამალმა მიშველოს, მაგრამ მოსალოდნელია სხვა მეწვიოს და ამიტომ ვალში ჩავარდნას ისევ სირცხვილი მირჩევნია და ვაცხადებ საყოველთაოთ, რომ სოფელში ჩემი ნალაპარაკები სუყველა ტყუილია; მე კომისარი კი არა, რეგისტრატორი ვარ, რომელსაც ჯამაგირი მეძლევა მე-6-ე ხარისხით 27 მანეთი და 80 კაპეიკი..

გთხოვთ შეცდომაში ნუ შეხვალთ და ნუ მოდიხართ ადგილის საშოვნელად.

თქვენი მარადის დაუვიწყარი სიძე.

პ. ობოლი.

# „პოლუჩკა"

**ქუთაისი**

კოწია: (შეხვდება ლიანდაგზე ისრებში ვასოს) გამარჯობა ვასო, შენი. რას შვრები კაცო, როგორა ხარ ხასიათში აჰ!

**ვასო:** რაღა როგორ ვარ, ძმავო. მე ქე გავთავდი კაცი ამდენ ლოდინში. ჩვენი არტელჩიკის შემხედვარე კარგ ხასიათზე იქნება ვინმე? სადაა თუ ძმა ხარ, ის კაცი ამდენ ხანს? ჯამაგირის დარიგებას აღარ აპირებს?

**კოწია:** მაგი არ მიკლავს, კაცო, მეც გულს! იგვიანებს ეს ჯამაგირი ა? პირდაპირ, წეხანს მუხრუჭზე ვიყავი ტყიბულის მაქსიმ გორკზე და რომ გამახსენდა ჯამაგირის დაგვიანება, მომივიდა გული და ისე მოვუჭირე მუხრუჭს, რომ მატარებლის მთელი შემადგენლობა კიდამ გაჩერდა.

**ვასო:** კაცო, შენი თქვი და ჩემი გაიგონე... შენი არ იყოს, მეც რომ მომივიდა წეხანა გული სახელოსნოში,—რო მევიქნიე ურო, გრდემლის მაგიერათ ქურას ვლეწე თავში; კინაღამ დავამტვრიე იქაურობა.

**კოწია:** გულმოსასვლელია, ყმაწვილო, აბა რა!

**ვალოდია:** გამარჯობა, ამხანაგო თქვენი! რას თათბირობთ, კაცო, მაქანა ა?

**ვასო:** ვთათბირობ კი არა, თუ ამიდუღდა სისხლი მთლად დავანგრევ ყველაფერს... რეიზა აგვიანებენ კაცო, ამ ჯამაგირს?

**ვალოდია:** კაცო, მაგაზე არა ვარ გულგამსკდარი მეც! წეხანა, კაცო, საქონელს რო ვწონიდი ისე ამერია დავთარი, რომ მოსკოვის ვაჭარს საქონლის მაგიერათ მიცვალებული კინაღამ გაუგზავნე კუბოთი აბა!..

**ვლადიმერი:** (შეესწრებათ): რაზე ხართ კაცო გულმოსული? ცუდი ამბავი ხომ არაფერია კაცო?

**კოწია:** ამაზე მეტი ცუდი შეიძლება.

**ვალოდია (ვლადიმერს):** თუ ცუდი არ არის, ვერ უყურებს შენი თვალები!

**ვლადიმერ:** მე მაინც ვერ გავერკვიე!

**ვასო:** ვლადიმერ ჩემო, შეიძლება გეიგე კაცო, რომ ამ ჩვენ დღესასწაულს რაზე აგვიანდება?

**ვლადიმერი:** რომელი დღესასწაული, კაცო? ამ თვეში არც კია დღესასწაული.

**ვასო:** შენ ვერ გაიგე კაცო. მე მინდა გკითხო—ჯამაგირი როდის არის მეთქი?

**კოწია:** იგია ჩემი დღესასწაული ძველიც და ახალიც.

**ვალოდია:** ისაა ჩემი ცოლიც, შვილიც და ყოველივე სიხარული.

**ვასო:** თუ კი მეღირსა ჯამაგირის აღება, ნახევარზე მეტს დავხარჯავ — ერთი ხოშიანად ჩავლიოთ.

**კოწია და ვლადიმერი:** მეც ვდებ ნახევარ ჯამაგირს. ჩავლიოთ, მაგის რჯული არ იყოს.

**ვლად.:** კაცო, ნახევარი ჯამაგირი კი არა, სამი შაური ღირს ბილეთი.

**ვასო:** რომელ ბილეთზე მელაპარაკები თუ ძმა ხარ შენა?

**ვლად.:** რომელზე და, ჩვენს კლუბში საუცხოვო კინო-სურათი მიდის, და ბილეთი სამი შაური ღირს.

**ვალოდია:** ძოგიცლია ერთი, შე მამაცხონებულო. რა დროს კლუბია. კლუბს სამიკიტნოში ქეიფი არ სჯობია?!

**კოწია:** რა მეზარება კლუბში თვალების გამოშტერება.

**ვასო:** ჩემი კლუბი ღვინის სარდაფებშია: ვეხაცვალე მის მომგონს.

**ვალოდ.:** რა ყრია კლუბში; სასმელია თუ საჭმელი, ქეიფია თუ დროს გატარება; სამიკიტნოში ერთი მაგრად რომ შევბრუშდები, იმას რა სჯობია. სიმღერის ხასიათზე მაშინ მოვალ, ცეკვაში კაცი ვერ მაჯობებს. დარტყმაში და ჭიდაობაში პირველი ვიქნები. ამას რა სჯობია თუ კაცი ხარ?!

**ვლად.:** (იცინის) ესეც თქვენი კულტურა და ხელოვნება.

**კოწია:** არ მოგწონს თუ?

ვ. ლიმანი.

# „სკანდალიანი“ მგზავრობა

გადამეკიდა ცოლი: — „კომანდიროვკა“ მოახერხე; ცოტა ხნით სადმე წადი; ფული გვჭირდება.

— ქალო, ამ ხუთას მანეთს ყოველთვიურად რომ ვღებულობ, სად ჰქრება? ნუ თუ ამდენი ფული ორ სულ ადამიანს არ გვყოფნის! ჩვენი პეტრე კი ხუთ თუმნით ექვს სულ ხიზანს არჩენს!?

— პეტრეს ცხოვრება და ჩვენი რამ გაასწორა? ის ცოტას ხარჯავს, შიმშილობს, თეატრში არ დადის და პროექტორში; ჩვენ კი ბევრი გვჭირდება... უეჭველად გამოახერხე „კომანდიროვკა“.

მეც დავფიქრდი. ხუმრობა ხომ არ არის—დღეში ათი მანეთი „კომანდიროვოჩნი“! ავდექი და გავსწიე გამგეობის თავმჯდომარესთან.

უაკნასკნელთან საქმე ისე გამოვაწყვე, როგორც მე მომიხდებოდა, გამოვედი გარეთ, დაუძახე ეტლს, ჩავჯედი შიგ და მალე მივადექი ქალაქის სადგურს რბილი რონოდის ბილეთის შესახებძათ. სადგურში საღამოს ცხრა საათზე იმავე ეტლით მივქროდი (რა მენაღვლებოდა აბტრესტის ფულები!).

ბევრი ბარგი-ბარხანა არ მაწუხებდა და... კონდუქტორს შევეკითხე:

— ამხანაგო, საგარეჯოს მატარებელი ეს არის?

— საგარეჯოსი არა, ვაზიანის არ გინდა! ეს კახეთის მატარებელია და, რაღა თქმა უნდა, საგარეჯოშიდაც გაივლის.

— კაი. შე კაცო, ერთი ალილო მღვდელს შეეშალაო—ნათქვამია. აპა, რბილი ვაგონი რომელია?

— მღვდელს ყველაფერი შეეშალა, მაგრამ შენ კი არ უნდა შეგეშალოს! აი, ის არის რბილი ვაგონი, ნახევარი რომ ყვითელია და თანაც კიბესთან „პრავადნიკი“ დგას.

ვაგონში მალე მოვნახე თავისუფალი დასაწოლი ადგილი, მაგრამ თავქვეშ დასადები ბალიში არსად სჩანდა.

ამასობაში მატარებელიც დაიძრა.

მე მოვიხმე „პრავადნიკი“ და მოვთხოვე ბალიში.

— ეგ არის ბატონო, რაც ჩამაბარეს მეც იმის პასუხისმგებელი ვარ, ბალიშები სრულებით არ ჩაუბარებიათ. ეს „მიქსტი“ ვაგონია.

ძალიან ნერვებიანი კაცი ვარ, იმდენათ ფული არ დამნანებია, როგორც თავმოყვარეობის „შელახვა“ და ანგარიშმიუცემლად ვეცი „პრავადნიკს“, თანაც ხალხის გასაგონათ ხმაღლა ვუყვირე:

—რას მიედ-მოედები, ამდენი ფული ტყვილა გადავყარე? ბალიში თუ არ გაქვთ, დასაწოლ პლაცკარტებს რატომ ჰყიდით, ყურუმსაღებო, ჩქარა მომიტანე ბალიში!

მომცვინდენ მგზავრები და ძლივას გამომგლიჯეს ხელიდან უდანაშაულო „პრავადნიკი“.

ბოლოს, როგორც იქნა დავწყნარდი და იძულებული შევიქენი იმავე „პრავადნიკი“-სათვის შეშის ნაჭერი გამომერთმია, რომელიც ბალიშის მაგიერ დავიდევი თავქვეშ. თან „პრავადნიკს“ ვთხოვე—საგარეჯოში გამეღვიძებიე.

ძილ-ღვიძრათ ვიყავი, როცა მატარებელი ხვნეშით შეჩერდა. უეცრად მომესმა განგაშისებური ყვირილი.

შეშინებული როგორ გამოვედი ვაგონიდან, აღარ მახსოვს, მხოლოდ ძლივს გამოვერკვიე სადგურიდან გამოსულ და მატარებლისკენ მომავალ ცარიელ „მეშოკ“ წამოსხმულ საშუალო ტანისი და ხნოვანი კაცის ხმაზე.

— მოვდივარ, მოვდივარ, აცა, აცა რა იყო თქვე ოჯახქორებო?

მე წამს იმ კაცთან გავჩერდი და როცა გამოვკითხე თუ რაში იყო საქმე—მიპასუხა:

— „ბაგაჟი“ არის გადმოსაცალი, არაფერია.

როცა ისევ ჩემი ადგილი მოვნახე, „პრავადნიკ“-ს გამოვკითხე სადგურის სახელი და ისე გაცხარებული ყვირილის მიზეზი, მან მომიგო:

— ეს ვაზიანის სადგურია; ის ტომარა მოფარებული კაცი, თვით სადგურის უფროსია. დავტვირთავ-გადმომტვირთავი მუშა არა ყავს, მის ხვედრ ფულს თვითონ იღებს და მუშის მოვალეობასაც თვითონ ასრულებს. ყვირილს კიდევ განგებ ასტეხენ ხოლმე კონდუქტორები—სადგურის უფროსი გავაბრაზოთო.

ვაზიანის სადგურის უფროსი აღარ გამიკიცხავს, რადგან ზედმეტი ფულისათვის („კომანდიროვოჩნი“-სათვის) მე უარეს ჩავდიოდი და ამიტომ ისევ „ძილს“ მივეცი თავი.

არ გაუვლია 15—20 წუთს, რომ რაღაც ხმაურობა და ხმამაღლა ლაპარაკი შემომესმა. ისევ წამოვდექი და გავეშურე იქით, საიდანაც ხმაურობა ისმოდა.

— რა ამბავია, რა იყო, რაშია საქმე?—შევეკითხე „პრავადნიკს“, რომელიც ის ის იყო გამობრუნდა ჩემსკენ.

— რა ამბავია და ამ უსინდისოებმა ეს ვაგონი გარყვნილების სახლი გახადეს. ობერს ნუდა დაუძახო, მაგათ სეირს ვაყურებიეფ ხალხსო.

„პრავადნიკმა“ მალე მოიყვანა ობერი ჩ—შვილი, რომლის შეკითხვაზე ქალმა უპასუხა:

— ეს ვაჟი ჩემი ნაცნობია, საგარეჯოელი გულის....-ია, მეც იქაური მასწავლებელი ქალი მაის..... გახლავარ, ერთმანეთს ვებაასებოდით...

განა აქ რა არის საძრახისი.

— ბაასი სხვაა და სხვა კიდევ სხვაა, რისთვისაც ვაგონში არაა ადგილი. ამით თქვენ დაარღვიეთ სავალდებულო დადგენილება და დაჯარიმებული ხართ 20 მანეთით, წაგადგენთ საგარეჯოში.

— შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ოღონდ საგარეჯოში ნუ წარმადგენ, ყველა მიცნობს, საქვეყნოთ თავი მომეჭრება და ისე კი რაც გნებავს—გადამახდევინე,—შეევედრა ვაჟი ობერს.

უაკნასკნელმა მიიღო მხედველობაში ვაჟის უხერხული მდგომარეობა და მხოლოდ ოცი მანეთით დაჯარიმება აკმარა.

ამასობაში საგარეჯოშიდაც მივაღწიეთ.

„შეურაცყოფილი“ ქალ-ვაჟი დარცხვენით გადავიდა ვაგონიდან და შთაინთქენ სიბნელეში. გადავედი მეც, გადავისახე პირჯვარი, რომ ასეთ „სკანდალიან“ მგზავრობას უვნებლად გადაურჩი და შევედი სადგურის საერთო დარბაზში.

თუ ამ საგარეჯოდან მშვიდობით დავბრუნდი—მთელ ჩემ სიცოცხლეში „კამანდიროვკა“-ში აღარ წავალ თუ გინდა „რაზვოდი“-ც რომ მიქნას ჩემმა ცოლმა.

**იშტიანი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „იჭვიანობა“

სურ. რევაზის.



**ბავში:** (ხედავს ცალთვალდაფსებულ ვაჭარს და ეუბნება დედას): დედიკო, რატომ მამასავით გიშვრება ეს კაცი თვალს.

# წერილი მეგობარს

მისაყვედურებ წერილს არ მწერო.

ეს მართალია,—მაგრამ ხომ იცი მუშკოოპში რა მუშაობაა და ამიტომაც მოცლა არა მაქვს. დღე ერთია და, უამრავ განცხადებებს ვღებულობ სავაჭრო ქსელიდან: ყონულის მოთხოვნილება მაღაზიებიდან და წყლის კიოსკებიდან; მეხორცეების და მემწვანილეების განცხადება ხორცისა და მწვანილის წახდენის შესახებ; მაღაზიების გამგეების და ნოქრების განცხადება, რომ ვირთხებმა შაქარი და საპონი შესჭამეს; სარძეო პუნქტის განცხადება, რომ ყველი და კარაქი გამოელიათ; ნოქარის თხოვნა, რომ სხვა მაღაზიაში გადავიყვანოთ, და, რა ვიცი ასეთი განცხადებები.

მაგრამ ყველა ამაზე შემდეგ.

ეხლა უფრო საჭირბოროტო საკითხია:

**რეჟიმ-ეკონომია,**

რომელსაც ჩვენ კარგად ვატარებთ. მაგ.: მუშკოოპის მაღაზიებში (ქალქის განაპირა უბნებში მით უმეტეს) ყოველ ოთხ ნოქარზე ადვაწესეთ ერთი ხალათი (ისიც ექვს თვეში ერთხელ).

მაღაზიებში მოსპობილია საპნით ხელის დაბანა, საპნის ნაცვლად შემოღებულია ქატო, რომელიც იაფიც ჯდება და ხელს საპონზე უფრო არბილებს.

მოსპობილია ხელსახოცი, რომელიც შეცვლილია ცხვირსახოცებით, რადგან ასეთი, ალბად, ყველა მოსამსახურეს აქვს.

გარე უბნებში, სადაც უმეტესად მუშები ცხოვრობენ, შევამცირეთ სინათლე; ეს იმიტომ, რომ (ასე ამბობდენ): მუშები მაინც ადრე იძინებენ. სამაგიეროთ მათი მივუმატეთ ცენტრალურ მაღაზიებს.

**ფასების დაკლება**

ფასების დაკლება პირველ მოთხოვნილების საგნებზე*) საგრძნობლად გავატარეთ. ლორიგახზე, კბილის ფხვნილზე, კრასკა-პამადაზე, აბრეშუმის თეთრეულებზე (ქალის), პერანგის ამხანაგების გასაწყობ „კრუჟევაზე“ დავუკელით 20 პროც.—30 პროც.

აუცილებელ საჭირო სანოვაგეთა ქონებას მაღაზიებში დავუკელით 50 პროც. ე. ი. გავანახევრეთ. მაგ. თუ უწინ ორი ფუთი ხახვი გვქონდა სავაჭროში, ეხლა მხოლოდ ერთი ფუთია.

თითქმის ასი პროცენტით დავუკელით ფართლეულობის გაყიდვას მომხმარებლებზე.

დავუკელით მაღაზიების სისუფთავეს, რითაც კეთდება ორი კარგი საქმე: ფასების დაწევა და რეჟიმ-ეკონომია. დავუკელით პურის ღირსებას 30 პროც., რაც გამოიხატება ქადის ფქვილის გარევით.

დავუკელით აგრეთვე სამი თვე ბალანსის შედგენას.

**აპარატის რაციონალიზაციასაც**

კარგად ვატარებთ; ხოლო ხელს გვიშლის გასაწყვეტი ვირთხები, რომლებიც თარეშობენ და არ იშლიან თვითნებობას. მათი თავხედობა იქამდი მივიდა, რომ შაქრით და საპნით აღარ კმაყოფილდებიან და, ამას წინეთ № 13 მაღაზიაში მოლარეს სამ ჩერვონციანი შეუჭამა თურმე.

გასულ წელს ცენტრალურ მაღაზიაში 15 ფუთი, ანუ დღევანდელი ანგარიშით 240 კილო საზამთრო შესჭამეს, მიუხედავად ამხ. ობოლაძის ხასტიკი ცირკულიარისა და პროტესტისა.

ჯეოჯერობით მეტს ვერაფერს გწერ. ანდა რა უნდა მოგწერო,—უკვე მომადგენ განცხადებებით.

მარად შენი ამხანაგი

**იზვინიტე პაჟალუტსა.**

---

*) 1-ლ მოხთოვნილებაში იგულისხმება: დუხი, პუდრი, პამადა, კრასკა და სხვა ასეთები, რომლებსაც ხმარობენ მანდილოსნები; ამ საგნებს ყველაზე უფრო მეტი მოთხოვნილება აქვს.

ზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგვხედე, ტარტაროზ!

ტარტაროზო უწმინდესო, რომელიც ხარ ცათა შინა;
ძლიერო და ყველგან მყოფო, გინდა გარეთ და გინდ შინა;
მადლი იმას, ვინაც ასე სიმართლისთვის გაგაჩინა;
შენი შოლტი ჰკურნავს ყველას, ბევრი უკვე მოარჩინა..
ერთი ჩვენაც გადმოგვხედე,—რა გვიჭირს, რამ მოგვაწყინა
აღარ გვშველის არაფერი, არც ზეთი და არც ქინა-ქინა.
გვევედრებით, რომ გვაცნობოთ აფთიაქი დღეს ვისია;
ხალხისაა, შტატისაა, ეშმაკ-ღმერთის თუ სხვისია,
შიგ რომ ვხვდებით ამდენ სნეულს, და გვეცემა თავზარია.
გძელი კუდი, და რიგები,—იქ ნამდვილი ბაზარია.
ვაი. იმას ვინც ამ წამალს ან დალევს და ან მიიღებს,
ურჩევნია დაეწაფოს სირაჩხანას დიდრონ ტიკებს.
წინად გვყავდა ერთი კაცი, კანტროლად და რევიზიათ
ეხლა არის ასჩვიდმეტი (აფთიაქი სჩანს ვისია!)
ყველას უნდა ბატონობა, პატრონი კი არსად არის;
არ გენახოს სხვა მნეობა ამ უწყების შესადარი.
თაოსნობას ვერსად ნახავთ, არ იციან თადარიგი
უთავოს და უსაქმურებს ემატებათ სულ თანრიგი.
მეთორმეტეს გაუმართავთ კრივი-ქიშტი, მუშტი დიდი
მილიციას მოუსწრია, მოკვდებოდა თორემ შვიდი·
მეთორმეტეს დღეს განაგებს შინ ანჩხლი და გარეთ მშვიდი
შტატს სულს უფრთხობს ბატონობით უფროსების მონა ფლიდი.
ოთხი თვეა ვერ იყიდა ბალიში და ერთი ლები
და ცემენტის იატაკზე დარაჯს უხმება გვერდები.
მეშვიდ-მეათ-მეთერთმეტეს განაგებენ ხრიკოსნები,
ძველათ შტატის მყვლეფელები, დაბეზღების კალმოსნები;
რამდენს იტყვი. ვის ჩამოთვლი. ცოტა არის ღირსი ქების
თვით პარტონსაც არარა სწამს დღევანდელ აფთიაქების.
მაგრამ იქ ჰყავთ ერთი-ორი „კარგი ბიჭი“
ეხერხებათ სიმღერები,—ღვინოში აქვთ დიდი ნიჭი.
ავანსებით მაძღარია, მათთვის ფული მუდამ არის.
ზოგს ერთ ადგილს არ აძლევენ, მათთვის სამი ცოტა არის.
ზემო თქმული ყველამ უწყის არ გეგონოთ მონაგონი;
აღარ დარჩა. არ იცოდ ს სამი წლისა ბავშვმა გონი.
პროგრამების და გეგმების დაიწერა ასი ტომი,
ბევრი დიდიც ჩაერია, უწყებათა თავში მდგომი.
მაგრამ საქმეს ვეღარ ჰშველის გეგმები და პროექტები,
და ვუშველით მხოლოდ მაშინ თუ მოხვდება შენი რქები
ტარტაროზო, გვევედრები მოგვაშორე საქმის მტრები
და ნახავ რომ ჩვენს ზეიმზე თვით შენაც კი დაესწრები.

**„მხილველი“.**

# გურული სცენა

კაცო, მოდი ახლა შენ და ამ ყურბან ხალხს ჭკუა მოსთხოვე?!. ისე სდუღს და გადმოსდუღს, ვითომდა ქვაბში ადუღებული წყალი ხვარხვალებსო!..

მართლა, რავა ეირია ეს ღვთის გაჩენილი ქვეყანა?!.

ჯერ იყო და იმ ფესვმოსასპობელმა ნიკოლოზაის ყომა ჟანდარმებმა გაგვიჭირა საქმე. მერე იყო-და—ჩემი ბატონი შენ ხარ, იმ მუტაკია მენშევიკებმა გაგვამწარა. ახლა არის-და—ეს ბოლშევიკები... მარა ბოლშევიკებს რას ვერჩი, იგინი რაცხას ქე ფოჩიხობენ ვითომ მუშა ხალხისთვის, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ აი იმ პირძაღლი ევროპიეს სახელმწიფოები რომ არ აძლევენ მოსვენებას!... კაცო, როის უნდა დაწყნარდეს აგი აფორიაქებული ქვეყანა, აღარ ვიცი სწორედ!.. თუმცა ჩვენში ახლა ქია მშვიდობიანობა დამყარებული, მარა სხვადასხვა სახელმწიფოებიდან რომ მესმის ამ ყურბანი ხალხის ღრიალი და ვაიუშველებელი, აგია სწორედ სიცოცხლეს რომ მიწამლაის!.. რა უჭირთ, რომ დაჯდენ თავთავიანთ ჯორკოზე და იყონ თავისთვის წყნარად და ლამაზად?... მარა, რავა გგონია, დაგიჯერებენ თუ?!. შენც არ მომიკვდე!.. გადმოიკიდებენ მხარზე მაჰახელას თუ ვინტოვკას, გაირჭობენ წელში ფიშტოს თუ რევოლვერს და, შეიქნება ერთი გაწა-მაწიე!.. დაარბევენ ერთმანეთს, გაანიავებენ ხალხის ავლა-დიდებას, ამოჟლეტენ უდანაშაულო მცხოვრებლებს და მერე მიდი და უყარე კეკალი!...

კაცო, ყველაზე უფრო იგი მტკლეცს გულზე, რომ გაიძახიან: „ძველი უნდა დავანგრიოთ და ახალი ავაშენოთო“!.. კი, მარა, ვინ მისცა ამის უფლება?!. ღმერთმა ნუ მიქნას და, ახლა რომ ბაბაის დატოვებული სახლკარი დამინგრიონ, ახალს მერე ვინლა ამიშენებს ამ წამხდარ დროში?!.. ქე არ დავრჩები გარედ ტიტველ-შიშველი ძაღლის საჭმელად?!. მოდი შენ და ელაპარაკე ამ გადარეულებს!!!. ჩვენში რაც იყო, იგი ყველამ კარგად იცის, მარა ახლა იგი ვინცა კიტაიააო—იმას შეჯდომია დედო ეშმაკი... აჰყოლია ამ გადარეულ ღენერლებს და რას შობა, თითონაც არ იცის!!.. წინეთ იყო და მისდია კუდში იმ მგლის გამოსაშიგნავ ჩან-კაი-შის, რომელმაც ქე მიატოვა შუა გზაზე და უტიფრად გადაჯდა იმპერიალისტების ბუნაგში, ახლა არის და, ვინცხა სხვა გადარეულს გამოეკიდება და ირბენს მანამდის, სანამდის კისერს არ მოიტეხს, ან-და, იგი ყველა კიტაიეს ღენერლები სულერთიანად არ მოიტეხენ კისერს ძირში, როგორც ეს რუსეთში მოხდა ხოლმე!... მაშინ კი მოისვენებენ, მარა ეს ვის მოესწრება!... მანამდის მე ქე გავმწარდი კაცი და!... აბა ერთი, რამდენ დავიდარაბას უნდა გაუძლო: აგი იგიაო, იგი აგიაო!.. ერთი ბიჭი მყავდა სამსახურში ჩაკეტებული და ახლა იგიც ქე დეითხოვეს!.. საკრაშჩენიაში მოხდა. ახლა დამიჯდება აი ალაპის ჩოგანის უგრძესი ყაძახი სახლში და აძლიე ჭადი... ნეტა მაინც ყანის მუშაობას იკადრებდეს!.. „ინტლიგენტი კაცი ვარ და ყანაში მუშაობა რა ჩემი საქმეაო“!...

კაცო, წინეთ ხრც არაფერი ვიცოდი, მარა ქე ვიყავი ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაზე და ახლა რა უბედურება დაგვემართა?!...

**ხოროტი.**

# განცხადება

ერთად შეერთდა ცრემლები:
ინდოურის და ბატების,
ქათმების, იხვის, ციცარის.
ოჭების და ბატკნების.

მას ზედ დაერთო ზმუილი
ხარებისა და ხბოების,
მწარე პეტელი თიკნების,
ჰყვირილი საკლავ ღორების...

ერთად შეზავებული
ძალლა უსწვდება ზეცასა;
თან ჯოჯოხეთშიც გიგზავნით
ტარტაროზ, განცხადებასა:

„მიიღე“ რამ, ზომები
დღეობის მოსასპობათა,
თორემ ვეღარა გვიხილავ
ვერც ტყავათ, ვერცა ხორცათა,

ვინც გადავურჩით აღდგომას—
მას გვხოცვენ გიორგობასა;
საშველი აღარ დაადგათ
ჩვენ ჯალათების ძლომასა!

ეხლა წინ გვიდგას იესოს
ზეცისკენ ანავარდება!
თუ დროზე აღარ გვიშველე·
ჯალაბი გაჩანაგდება!

გაფიცებთ ნომერს მეასეს
ნულარ დაუწყებ ყურებას,
და ყველას მოსცხე, ვინც მისდევს
ძველს ადათს, ძველ ჩვეულებას!

**გოჩა.**

# მოკლე ვადა

სურ. ო. შლინგი



**სასიმამრო:** ხანამ ცოცხალი ვარ,—შენ ჩემს ქალს ვერ ითხოვ!

**სასიძო:** მეც დავიცდი... ვიცი, რომ დიდი ხნის ცდა არ მომიწევს!

# თანაგრძნობა

**თამრო:** რავა გაგიფუშკვერია მაგი ცხვირი რუსულ ლოთობით!? რა მოგსვლია! თუ იმას დარდობ,—კოოპერაციიდან რომ გამოგცვალეს? მაგი არაფერია. იმან იკითხოს ვისაც ჯერ კოოპერატივში არ უმსახურია, თორემ, ჩვენ რა გვიჭირს,—შენი მოტანილი ნივთები და შალიულობა, ვიქტორიები ჩვენს სიცოცხლეში გვეყოფა!

**სილო:** ქალო, რა ბედნიერი ხარ, რომ არ იცი, თუ რა დღე მომელის! რომ იცოდე, ასე უდარდელათ არ დაიწყებდი ლაპარაკს.

**თამრო:** როგორ! ცუდი ამბავი ხომ არ დატრიალდა ჩვენს თავზე? ეს ორი დღეა, საშინელი ფერი გადევს სახეზე!

**სილო:** ეხლა კი მივხვდი,—მე რომ სული რომ მიდგია არ გიკვირს!? რაც ჩვენს ერკოპში ფული დააკლდათ, სულ მაბრალებენ. საქმე სისხლის სამართლის მილიციას გადაეცა.

**თამრო:** მერე მაგას დარდობ? პროკურორი ჩემი კარგი ნაცნობია და ერთი რომ ჩაუჩურჩულო მეტი არ უნდა საქმეს გამოაჭახრაკებს.

**სილო:** რას ბოდავ! ფერი კი არა, გეუბნებოდი: შენთან პროკურორს რაღაც კავშირი აქვს მეთქი, ხომ მართალი ყოფილა?! აბა, საიდანაა შენი ნაცნობი იგი?

**თამრო:** ეხლა შენ ძალიან ცოდვებს ნუ კი მაგონებ! შენ საქმეზე ვიმსჯელოთ, რომ ციხეში არ ამოგაყოფიონ თავი და შეგრჩეს ტკბილად რაც ერკოპიდან შემოგრჩენია.

**სილო:** სწორე ხათქვამი ყოფილა: „მელა ზღვას გადურჩა და ნამმა დაახრჩოვო“,—ისეა ჩემი საქმე. რაღა მაშინ შემისწრეს როცა 50 მანეთის საქონელი მომქონდა. 1.000 მანეთის საქონელი კერძო დუქნებში გამინაღდებია და არავის შეუმჩნევია.

**თამრო:** ხომ გაგიგონია. „ნემსის ქურდი და აქლემის ერთია“-ო.

**სილო:** ეგ მიკლავს გულს, და ყოველ წუთში სახრჩობელაში მგონია თავი ამოყოფილი.

**თამრო:** სახრჩობელაზე რა გინდა! 10.000 მანეთისათვის არ ხვრეტენ კაცს და შენც ხომ მეტი არ გექნება შეჭმული? თუ გაწყრება ღმერთი და ორ-სამ წელიწადს ციხეში დაგაჯენენ, ეს არაფერია.

**სილო:** ხო, მოგხედავს ღმერთი რაღა, შენ რა გიჭირს პროკურორებს და კომისრებს კარგად იცნობ და იხელთებ დროს.

**თამრო:** ერთი მითხარი, მაგალითად, მოგისაჯეს ორი წლით ციხე, რომ გამოხვალ, მერე ხომ მიგიღებენ ისევ კოოპერატივში?

**სილო:** ოხ! დეიქცა ის დღე, როდესაც მე შენ ცოლად შეგირთე. რას ბოდავ? წელან მეუბნებოდი, რომ პროკურორი მყავს ნაცნობი და გიშველიო, ეხლა კი ჩემი თავი ციხეში წარმოგიდგენია არა!?

**თამრო:** მაგალითისათვის ვლაპარაკობ, თორემ ციხეში ყოფნას ღმერთმა ნუ მომასწროს? ხომ იცი ათას ნაირი მოდები იცვლება და ვინ მიყიდის თუ შენ არა!

**სილო:** ვაი, ჩემი ცოდვა, რა დღეში ვარ!? ამის გადამკიდეს, მაინც არაა საშველი! სანამდი უნდა ვემალო ციხეს!

ბელა-მაყუთი

# ოზურგეთისათვის

ოზურგეთში ჩავბორძიკდი
ამ შაბათს რომ კვირა მოყვა,
(ავად ვიყავ და მეგონა
იქ ექიმი ინგოროყვა).

———

მოედანზე გავიარე,
ჭანდრის ძირში დავისვენე,
(მახსოვს დიდი ცაცხვი იდგა
მოუჭრიან, გავიხსენე.)

———

ხალხის ჩოჩქოლს ყური მოვკარ,
მეც მივედი მოსასმენად,
(ზოგს არაფრად არ მიაჩნდა
და ზოგს არც კი მოსათმენად.)

———

ძველ მეგობარს შევეკითხე:
—რა ამბავი მოხდა, კოლა?
მიპასუხა:—გაგვიხშირდა,
ძმაო, ორი ცოლის ყოლა.

———

გადიდკაცდა ზოგ-ზოგები,
აღარ მოსწონთ ძველთან წოლა;
ცოლი-ქმარს სხვას არ ანებებს
და ამისთვის არის ბრძოლა...

———

ბევრი კიცხავს ასეთ ამბებს,
დასაგმობიც არის „მოდა“,
წინედ ასეთ ყოფა-ქცევას
კვირიაკეც ძლიერ გმობდა.

———

ფუ! იმ ვაჟკაცს, ვინც ცოლს დაჰგმობს,
სიკოც ასე იძახოდა.
ალბად მიტომ—მაშინ ტანზე,
ხალათიც კი არ ჰქონდა.

———

და დღეს, როცა ცოტა წელში,
გასწორდა და გაიმართა,
სხვებს დაუწყო კურკუზობა,
აღარ მოსწონს მისი მართა!..

———

წახდა საქმე და ოჯახი
აიფუშა, დაიხლართა;
გუშინ ქალი გულწასული
„ენოტდელში“ გაიშხლართა!...

იგი.

# ყველა შეგნებულმა მოქალაქემ ივლისში
## უნდა გამოიწეროს
## გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზი“

არს ტარტაროზი ამ ქვეყნად
მაღალი, კბილ-ბასრიანი;
ყოველთვის პირ-მომცინარი
და თავზე კაუჭ-რქიანი.

მუშისთვის უხვი, მძლეთა-მძლე
ზრდილი და თავაზიანი.
მუშის მყვლეფელებს ტყავს აძრობს
და მოაქვს მათთვის ზიანი.

ერთი არშინი ბეჭი აქვს,
მუშტები—ოროყიანი;
ხელში შამფური უჭირავს
სამ-კბილა ჩანგალიანი.

უყვარს საჭმელათ მსუქნები
გაბერილ, დიდლიპიანი;
დასჭრის, დაკუწავს, რომ მითგან
მწვადი ააგოს ცვრიანი

სიცილით მუცელს აგატკენს,
(ტკივილს არ მოაქვს ზიანი).
სჯობს სხვა აგზეთის კითხვას
„ტარტაროზ“ ხალისიანი,

როგორც ავდრიან დღესა სჯობს
კარგი დღე ნათელ-მზიანი;
ან უალაგო გამგესა
სხვა გამგე ალაგიანი.

ვერ დააკავებს ტარტაროზს
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს
მავნე და ხულიგოვანი.

გრ. არეული.


იშვიათი შემთხვევა: ივლისში (რიცხვებში: 3, 10, 17, 24 და 31)

# გამოვა
## „ტარტაროზი“-ს ხუთი ნომერი

## ისარგებლეთ შემთხვევით!

## ივლისისათვის ხელისმოწერა უკვე დაიწყო

ხელის მოწერა მიიღება: ადგილობრივათ—გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორაში (ჯორჯიაშვილის № 6); პროვინციებში—რწმუნებულებთან, მთავარ კანტორის განყოფილებებში და ფოსტაში.

## არ დარჩეთ უგაზეთოთ

## დროზე იზრუნეთ გამოწერისათვის